ხელშეკრულება №213

ქ. რუსთავი 27 დეკემბერი 2011 წ

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ სსიპ - **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი** (მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი მე- 17 კილომეტრი) მისი დირექტორატის **ნატო გუგავას** სახით (შემდგომში **შემსყიდველი**) და მეორეს მხრივ შპს **..ინფოსერვისი**" (მისამართი: ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის №4) მისი დირექტორის **ზურაბ თეთრაძის** სახით (შემდგომში **მიმწოდებელი**), ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტი (CPV48600000) კერძოდ, „კოდექსი - 2007" განახლების შესყიდვა (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").
2.2წინამდებარე ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ნასყიდობის საგანზე საავტორო უფლებების გასხვისებას და რაიმე ფორმით შემსყიდველზე გადასვლას, საავტორო უფლებები ნასყიდობის საგანზე ეკუთვნის „კოდექსი - 2007"–ს პროგრამის ავტორს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 1080 (ათასოთხმოცი) ლარით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდება ხდება სსიპ **სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ადგილმდებარეობის მიხედვით** (მის. გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი მე-17 კილომეტრი), ან ელექტრონული გზავნილის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში (ან დამატებით წერილობით დოკუმენტით) მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე „კოდექსი - 2007" განახლები-ს პაკეტის გაგზავნის გზით.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს

მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.
6.2 შესყიდვის ობიექტის სამართლებრივი ბაზის დოკუმენტებში აღმოჩენილი უზუსტობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ შეიძლება მიჩნეულ იქნას შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივ ნაკლად, რადგან მიმწოდებელი არ იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული დოკუმენტების შინაარსის სიზუსტეზე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიწოდებული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად მოუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება (ხელშეკრულების შეწყვეტისას უნდა მოხდეს შესყიდვის ობიექტის ფაქტიურად მიწოდებული ნაწილის ღირებულების მიმწოდებლისთვის გადახდა).
9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.6. ნებისმიერ მხარეს, თავისი შეხედულებისამებრ, უფლება აქვსშეწყვიტოს ხელშეკრულება

ნებისმიერ დროს, მეორე მხარისთვის მოშლამდე ერთი თვით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა ფორს–მაჟორული გარემოებებით. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) აღნიშნულ გარემოებათა შემოწმების დასრულებამდე.
10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, ზიანის ანაზღაურების კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე (ხელშეკრულების შეწყვეტისას უნდა მოხდეს მხოლოდ შესყიდვის ობიექტის ფაქტიურად მიწოდებული ნაწილის ღირებულების მიმწოდებლისთვის გადახდა).

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 27 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი, რომელიც გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით (მიმწოდებელი არაა პასუხისმგებელი შემსყიდველის კომპიუტერული ტექნიკის და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობასა და შესაბამისობაზე, ის პასუხისმგებელია მხოლოდ მისი მიზეზით გამოწვეულ შესყიდვის ობიექტის ნაკლოვანებებისა და გაუმართაობების აღმოფხვრაზე).

13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან (თუ ისინი პირდაპირ და უშუალოდაა გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, როგორც მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულება).
13.4. ინსპექტირებას განახორციელებს მართვის სამსახური უფროსი მიხეილ ყუფარაძე.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, თუ ისინი არაა შედგენილი ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.
14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
14.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
14.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობებში ცვლილებათა შეტანის სურვილის შესახებ წინასწარ, არანაკლებ 10 დღით ადრე (თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან შეთანხმებულ ცვლილებებზე, ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით).
ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი" ს/კ 204 493 262 მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილის მე-17 კილომეტრი ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში ბ/კ TRESGE22 ა/ა 200 122 900	შპს "ინფოსერვისი" ს/კ 200001229 მისამართი: ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის №34; ბანკი „რესპუბლიკა" - ს სადგური ფილიალი ბ/კ REPLGE22 ა/ა GE31 BR0600003608002037
ნატო გუგავა დირექტორი	ზურაბ თეთრაძე დირექტორი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.რუსთავი 27 დეკემბერი2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს ..ინფოსერვისი" მიერ მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტი, კერძოდ, „კოდექსი - 2007" განახლები-ს შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ნატო გუგავა
დირექტორი

ზურაბ თეთრაძე
დირექტორი